# გამარჯვების მტკიცე რწმენით

გ. სიხარულიძე,
საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის თავმჯდომარე.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში დამკვიდრებულ ხალხთა ზეიმთა შორის არის ახალგაზრდობისა და სპორტსმენთა დღესასწაული, რომელსაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ეწოდება. სპორტსმენთა ეს დიდი ფორუმი მკაფიოდ ასახავს სსრ კავშირში ფიზკულტურული მოძრაობის განუხრელ აღმავლობას, მის მასობრიობას, ხალხურობას.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით საბჭოთა სპორტი მსოფლიოში ყველაზე პროგრესული და პოპულარული გახდა. იგი პირდაპირ სასწაულებს ახდენს, წამყვან როლს ინარჩუნებს მსოფლიო რეკორდების ცხრილში. სპარტაკიადა წარმოადგენს ამ მიღწევათა მკაფიო დემონსტრაციას, გაწეული მუშაობისა და ძალთა გენერალურ შემოწმებას ტოკიოს მომავალი ოლიმპიური პაექრობის წინ.

ამიტომ არის, რომ სპარტაკიადისათვის მზადება და მასში წარმატებით მონაწილეობა ერთ-ერთ მთავარ მოვლენად ითვლება. როგორც ცნობილია, საბჭოთა დიდ სპორტულ ოჯახში საქართველოს როლი თვალსაჩინოა. მისი სპორტსმენების არც თუ მცირე ნაწილი ყოველთვის წარმატებით გამოდის როგორც მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ ასპარეზობებზე, ისე ევროპისა და სსრ კავშირის პირველობებში, მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში.

ჩვენს რესპუბლიკას სამართლიანად უწოდებენ დიდი სპორტული ტრადიციისა და პოტენციალის რესპუბლიკას. ამიტომ საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლას სპორტის რომელიც გნებავთ სახეობაში ყოველთვის შეუნელებელი ინტერესით მოელიან. სპარტაკიადა ყოველწლიური კალენდარით გათვალისწინებული ასპარეზობა როდია, იგი წარმოადგენს რამდენიმე წლის მუშაობის დაგვირგვინებას არა მარტო რესპუბლიკათა ნაკრები გუნდებისათვის, არამედ ფიზკულტურული კოლექტივებისთვისაც, მოსწავლე სპორტსმენებისათვის.

სპარტაკიადისათვის მზადება ახალ წარმატებათა პერიოდი იყო. მან მკაფიოდ იჩინა თავი ჯერ კიდევ გასულ წელს რაიონულ, საქალაქო და ზონალურ შეხვედრებში და მრავალი ახალგაზრდა მიიზიდა. და თუ ამ რიცხვს შევადარებთ გასული სპარტაკიადის მონაწილეთა რაოდენობას, იგი სამჯერ მეტი აღმოჩნდება. ცხადია, მასობრიობასთან ერთად გაიზარდა სპორტსმენთა დაოსტატება, მათი მაჩვენებლები. ახალ ჩემპიონებთან ერთად იბადებოდა რეკორდები. თუ პირველი სპარტაკიადისათვის 149 ოსტატი გვყავდა, ამასთანავე ეს რაოდენობა მაშინ ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესოდ, მესამე სპარტაკიადისათვის სპორტის ოსტატთა საერთო რაოდენობამ მიაღწია 238-ს, ხოლო რესპუბლიკური რეკორდები განახლდა 12-ჯერ.

როგორც აღვნიშნეთ, სპორტსმენთა ფორუმისათვის მზადება ფიზკულტურული კოლექტივებიდან დაიწყო. მაგალითად, ამ მასობრივ შეჯიბრებაში მონაწილეობდა საქართველოს 244 კოლექტივი ხოლო 250.000 სპორტსმენით. თუ ამას მივუმატებთ ფაბრიკა-ქარხნებში გამართულ შეხვედრებს, აგრეთვე მოსწავლეთა სპარტაკიადის წინასწარ შეხვედრებს, მაშინ ცხადი გახდება, თუ რაოდენ მასობრივი იყო რესპუბლიკური სპარტაკიადის პირველი ეტაპები.

სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები — ეს ძირითადად ის „ბაზებია", საიდანაც იღებენ შევსებას რესპუბლიკათა ნაკრები გუნდები. ამიტომ ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო იყო მოსწავლე სპორტსმენთა მომზადების დონე და მათი მონაწილეობა რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებში, რადგან აქ გამოვლინებული შედეგები დიდ როლს ითამაშებდა საერთო მაჩვენებლების დადგენისას. 860.000-მდე ვაჟი და გოგონა ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას ფინალში მონაწილეობისათვის. მათგან დასკვნით ასპარეზობაში გავიდა სწავლისა და სპორტში წარჩინებული 6.000 მოსწავლე. მაჩვენებლები კარგი აღმოჩნდა. სპორტსმენებმა აჩვენეს მაღალი შედეგები. შეასრულეს ოსტატის ნორმატივი, დაამყარეს ახალი რეკორდები.

საქართველოს მოსწავლე სპორტსმენებმა სპარტაკიადის დღეებში დაამყარეს 8 რესპუბლიკური და 1 საკავშირო რეკორდი, ხუთმა სპორტსმენმა შეასრულა ოსტატის ნორმატივი.

დასკვნით შეჯიბრებაზე ვოლგოგრადში — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე ჩვენმა სპორტსმენებმა, პირველ რიგში კი ფეხბურთელებმა და კალათბურთელებმა, საერთო მოწონება დაიმსახურეს. საქართველოს გუნდი საერთო მაჩვენებლებით მეოთხე ადგილზე გამოვიდა. იგი რსფსრ გუნდს, რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა, ნახევარი ქულით ჩამორჩა.

და მაინც ძალთა შემოწმების თვალსაზრისით ჩვენთვის მთავარი იყო რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამა სპორტის 24 სახეობით განისაზღვრებოდა. ხოლო მონაწილეთა დიდი უმრავლესობა სპორტის ოსტატები და პირველთანრიგოსნები იყვნენ. სწორედ ამ სპარტაკიადის შედეგებით უნდა გამოვლენილიყო საქართველოს ნაკრებ გუნდში იმათზე, ვინც დაიცავდა ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას მოსკოვში სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადაზე.

უნდა ითქვას, რომ მაჩვენებლები ცუდი როდი იყო. მაგალითად, 88-მა მონაწილემ აჩვენა სპორტის ოსტატის ნორმატივი, 258-მა — პირველი თანრიგოსნის შედეგი. 12 რესპუბლიკური რეკორდი ერთ შეჯიბრებაზე, რომელთაგან ორი საკავშირო აღემატება, ცუდი შედეგი როდია.

და აი საქართველოს სპორტული დელეგაცია პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახეობის წარმომადგენლებით მოსკოვში იმყოფება. ზოგმა უკვე დაამთავრა შეჯიბრება, ზოგი კი სტარტზე დგას და შეუპოვარ პაექრობას მოელის.

თუ ვიმსჯელებთ ამ საერთო მაჩვენებლებით, რომლებიც დღეისათვის გვაქვს, თითქოს ყველაფერი რიგზეა, ვიმყოფებით მეხუთე ადგილზე. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მძაფრი ბრძოლა გვაქვს ლენინგრადის გუნდთან. მხოლოდ 6.5 ქულა გვაშორებს მათ შედეგებს. ეს, რასაკვირველია, ცუდი როდია, მაგრამ საჭიროა ტემპის გაძლიერება. ზოგიერთ სახეობაში, ვფიქრობ, უპირატესობა ჩვენი იქნება, თუმცა არის ისეთი სახეობებიც, სადაც მათ გარკვეული უპირატესობა აქვთ. მაგალითად, ლენინგრადის გუნდი განსაკუთრებით ძლიერია მძლეოსნობაში, ცურვაში და სხვ. ჩვენი სპორტსმენები წარმატებით უნდა გამოვიდნენ ჭიდაობაში, წყალბურთში, ფარიკაობაში, კალათბურთში, ჩოგბურთში.

მაგრამ არ შეიძლება დავივიწყოთ სპარტაკიადის გამწყვეტი სახეობები, კერძოდ სასტენდო სროლა, ძალოსნობა. როგორც ცნობილია, ჩვენმა მესტენდეებმა სატურნირო ცხრილში მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავეს. გასულ სპარტაკიადასთან შედარებით ორი ადგილით უკან დაიხიეს და მეტად საჭირო ქულა დაგვაკლეს. ეს მაშინ, როცა მათგან სულ მცირე მეხუთე ადგილს მოველოდით. გასულ სპარტაკიადასთან შედარებით უარესი მაჩვენებლებით დაამთავრეს შეჯიბრება ძალოსნებმა. არც ველომრბოლელებს აქვთ ჯერჯერობით სახარბიელო შედეგები.

დღეს სსრ კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა საზეიმოდ გაიხსნება. ამ დიდ ზეიმში სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები, რომელთა რიგებში არიან მსოფლიოს და ოლიმპიური ასპარეზობათა ჩემპიონები. საქართველოს სპორტსმენები მწყობრი ნაბიჯით ჩაუვლიან ტრიბუნებს, ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას პარტიისა და მთავრობისადმი, კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი, სამშობლოსადმი.



ორძელზე ვარჯიშს ასრულებს საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატი ნოდარ მაკალათია.

ფოტო გ. კაკაბაძისა.
(საქტესის ფოტოქრონიკა).